28/04/2026

MES 5 26 0000496706

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.04.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:14 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

- გიორგი ბასილაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ლაშა მელაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ბაია ჯაფარიძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- მარი სილაგაძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

- მარიამ დარბაიძე - ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

- ელიდა ხვედელიძე – რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით;
- ლალი ხვედელიძე – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი);
- ასმათ დიასამიძე – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- გიორგი გაბედავა – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზღვაო ნავიგაცია“ თანახელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ვლადიმერ ღლონტი ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- ინგა შამილიშვილი - ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- თამარ მაჭუტაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასისტენტ პროფესორი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- დევი შონია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

- ქეთევან გივიშვილი - ანალიტიკისა და ხარისხის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- სეიფედინ კადრი - Seifedine Kadry (I საკითხი)
- მაგდა ცინცაძე (I საკითხი)
- თამთა ლეკიშვილი (I საკითხი)
- გიორგი მხეიძე (I საკითხი)
- თინა ცომაია (II საკითხი)
- ირმა ქურდაძე (II საკითხი)
- ნინო გორგოშაძე (III საკითხი)
- ნინო ტალიკაძე (III საკითხი)
- ნინო შოშიტაშვილი (IV საკითხი)
- ეკა გეგეშიძე (V საკითხი)
- ეკა ლეკაშვილი (V საკითხი)
- ზურაბ აზნაურაშვილი (VI საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (60 დღიანი მონიტორინგის ანგარიში, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა);
3. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკონომიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა; 2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (60 დღიანი მონიტორინგის ანგარიში, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა);
3. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკონომიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

პროგრამა 1
პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2
პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება;
საფეხური: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება;
სწავლებისენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათთავიანთი პოზიციები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ დამსწრეებს გააცნო დასკვნაში მოყვანილი ძირითადი შეფასებითი გარემოებები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბაია ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. მან აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაციაზე უნივერსიტეტმა გამოთქვა თავისი არგუმენტირებული პოზიცია. „რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის (მათ შორის პირველი, მე - 2 და მე - 3 სწავლის შედეგების) მიღწევა დაუფლების დონეზე და ორივე პროგრამაში სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების ჩარჩოს გამჭვირვალობის და სიზუსტის გაუმჯობესება.”

რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა საბაკალავრო დონისაა, უნივერსიტეტს არ მიაჩნია მართებულად ამ სამი სწავლის შედეგის განმტკიცების დონეზე გაყვანა, რაც აისახა არგუმენტირებულ პოზიციაში. პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ბასილაძემ „რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სახელწოდება და ეწოდოს „ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება", რაც უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის შინაარსს“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია უფრო მეტი კიბერუსაფრთხოება, ვიდრე IT უსაფრთხოება. საგნების დიდი ნაწილი ფარავს კიბერუსაფრთხოებას და პროგრამისთვის შეირჩა შესაბამისი, ადეკვატური სახელწოდება. თუ სტუდენტს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით უნდა ცოდნის გაღრმავება, ეს შესაძლებელია არჩევითი საგნებითაც. უნივერსიტეტმა შექმნა “N-TESTING” ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა განავითარონ ისეთი უნარები, რომლებიც საჭიროა ჰქონდეთ შეღწევადობის ტექნიკების სპეციალისტებს. სტრუქტურულად პროგრამა არის ორიენტირებული სტუდენტებისთვის კიბერუსაფრთხოების ცოდნის მიცემაზე. პროგრამის თანახელმძღვანელმა, ლაშა მელაძემ დაამატა, რომ შეხვედრებზე განხილულ იქნა პროგრამის სახელწოდება კიბერუსაფრთხოება უნდა იყოს თუ უსაფრთხოება. პროგრამას მიზანში და შედეგში აქვს აქცენტი კიბერუსაფრთხოებაზე. უნივერსიტეტს დარჩა შთაბეჭდილება, რომ რეკომენდაცია იყო ფორმალური და არაარგუმენტირებული. პროგრამის სახელწოდება და კვალიფიკაცია არის კარგად დადასტურებული. უსაფრთხოება ზოგადი მცნებაა და კიბერუსაფრთხოება უფრო მეტად აკონკრეტებს ამ პროგრამის შინაარსს. ეს არის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული დამოუკიდებელი მიმართულება, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანი და სწავლის შედეგები. არგუმენტაცია აიგო საერთაშორისო სტანდარტებზე და არსებობს საერთაშორისო ანალოგი უნივერსიტეტები, რომლებიც იყენებენ ასეთი ინტეგრირებული პროგრამების პრაქტიკას. ამგვარად, საბოლოოდ არჩევანი შეცერდა ინფორმაციულ ტექნოლოგიასა და კიბერუსაფრთხოებაზე, რაც მოთხოვნადია ბაზარზე.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როცა კიბერუსაფრთხოების საკვალიფიკაციო ჩარჩო შეიქმნა, ხომ არ უფიქრია უნივერსიტეტს ამ კვალიფიკაციის შერჩევა პროგრამისთვის.

გიორგი ბასილაძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე გადაწყდა IT და უსაფრთხოების პროგრამის შექმნა. ამ ეტაპზე უნივერსიტეტი არ ანიჭებს კიბერუსაფრთხოების ბაკალავრის ხარისხს, ანიჭებს მხოლოდ კიბერუსაფრთხოების მაგისტრის ხარისხს ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტთან ერთად. თუკი სტუდენტი გადაწყვეტს უსაფრთხოების მიმართულებით სწავლის გაგრძელებას, IT-სა და კიბერუსაფრთხოების პროგრამის საბაზისო ცოდნა მას მისცემს ამის შესაძლებლობას. ამ ეტაპზე უნივერსიტეტი არ გეგმავს სრულად კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის შექმნას.

მაქსიმ იავიჩმა იკითხა, კვალიფიკაცია რადგან ჟღერს - „ინფორმაციულ უსაფრთხოებაში“ და პროგრამა არის კიბერუსაფრთხოებაზე, რა მოსაზრება აქვს ამაზე პროგრამის ხელმძღვანელს.

გიორგი ბასილაძემ უპასუხა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების ერთ-ერთი ნაწილია კიბერუსაფრთხოება, რომელიც ტექნიკური მიმართულებით უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ცოდნის მიწოდებას. ტექნიკური საშუალებებით და პრაქტიკაზე დაყრდნობით სტუდენტებს უვითარდებათ ცოდნა და უნარები კიბერუსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც ასახულია პროგრამაში.

მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ვინაიდან პროგრამაში მეტი კიბერუსაფრთხოების კურსია, ვიდრე ინფორმაციული უსაფრთხოების, ამავდროულად, საქართველოში უსაფრთხოების კვალიფიკაცია არ არსებობს და პროგრამის სახელწოდებაში უსაფრთხოების დამატება შეიძლება აღქმული იყოს ფიზიკურ უსაფრთხოებად, რამდენად მიზანშეწონილად თვლის ექსპერტთა ჯგუფი, რომ სახელში მითითებული იყოს მხოლოდ კიბერუსაფრთხოება.

აკრედიტაციის ექსპერტის, მაგდა ცინცაძის თქმით, რეკომენდაციის მოტივაცია იყო პროგრამის სახელსა და კვალიფიკაციას შორის შეუსაბამობის აღმოფხვრა რომელიმე მათგანის ცვლილების გზით. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგის მიღწევა უნდა ფასდებოდეს განმტკიცების (მესამე) დონით და მნიშვნელობა არ აქვს საუბარია ბაკალავრიატზე თუ მაგისტრატურაზე. ბაკალავრიატს და მაგისტრატურას აქვთ თავიანთი ბლუმის ტაქსონომიის ზმნები და მათი სწავლის შედეგები უნდა ვითარდებოდეს განმტკიცების ჩათვლით.
მაქსიმ იავიჩმა ხაზი გაუსვა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოება მოიცავს უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებას, თუმცა ქართულ რეალობაში უსაფრთხოების აღქმა ხდება ფიზიკურ უსაფრთხოებად.
მაგდა ცინცაძემ უპასუხა, რომ სტანდარტის მიხედვით უსაფრთხოება ინფორმაციული უსაფრთხოების ნაწილია.
სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ NCEQE-ს და ESG-ს სტანდარტით სწავლის შედეგები უნდა იქნას მიღწეული და მხოლოდ გაცნობისა და გაღრმავების დონით, განმტკიცების გარეშე, სწავლის შედეგის მიღწევა ვერ იქნება გარანტირებული. პროგრამის კურიკულუმი შეფასდა ICT-ს სტანდარტის მიხედვით. სტუდენტების მოსაზიდად დღეს საქართველოში აქტუალური ტრენდია ისეთი სახელების დარქმევა როგორიცა: ინფორმაციული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მონაცემთა ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიები და „BIG DATA" და ა.შ. ეს მისაღებია, მაგრამ საბოლოოდ პროგრამა ფასდება ჩარჩოსა და ICT კოდის მიხედვით. სახელწოდებაში კიბერუსაფრთხოების გამოყენებას ჯგუფი ორი მიზეზით არ ეთანხმება: კიბერუსაფრთხოებას აქვს თავისი დარგობრივი მახასიათებლების ჩარჩო და ასევე, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბევრი სასწავლო კურსი არ არის მოცემული სავალდებულო კურსებში (მაგალითად: "Fan Test", „ინცინდენტებზე რეაგირება", „უსაფრთხო პროგრამის განვითარება").
გიორგი ბასილაძემ უპასუხა, რომ პროგრამამ უნდა მიანიჭიოს შემდეგი კვალიფიკაცია - „ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ბაკალავრი". ამ კვალიფიკაციის დარგობრივი მახასიათებლები რასაც ითვალისწინებს, იმაზე მეტს ასწავლის პროგრამა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. მოეწყო „პრე-ტესტინგის" ლაბორატორია და სტუდენტებს უვითარდებათ ტექნიკური, პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სწორედ, ამიტომ უნივერსიტეტს მისაღებად მიაჩნია არსებული სახელწოდება. პროგრამა რომ ანიჭებდეს კიბერუსაფრთხოების ბაკალავრის ხარისხს, მაშინ უნდა ისწავლებოდეს სავალდებულოდ ის კურსები, რომლებზეც თავმჯდომარემ ისაუბრა.
მაქსიმ იავიჩმა იკითხა, რომელი სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ხსენებული ლაბორატორიული სამუშაოები და რას მოიცავს ის. გიორგი ბასილაძემ უპასუხა, რომ ლაბორატორია მოეწყო ორგანიზაცია "Hack The Box"-ის პრე-ტესტინგის კურსის მსგავსად, პრაქტიკული მაგალითების საშუალებით სტუდენტები იღებენ ცოდნას. კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამაში უკვე ჩაეშვა ეს ლაბორატორია და მუშაობს წარმატებით. შემდგომში, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე ახალი ნაკადის მიღებასთან ერთად, მოხდება ლაბორატორიის საბაკალავრო დონეზე გამოყენებაც. ლაბორატორიული სამუშაოები ხორციელდება „ვებ და სისტემური შეღწევადობის აუდიტის" კურსის ფარგლებში, რომელშიც დამუშავებულია თემა „ეთიკური ჰაკინგი" (არასავალდებულო საგანი).
ლაშა მელაძის თქმით, სავალდებულო კურსებში ერთი კურსია, რომელიც მოიცავს კომპიუტერულ უსაფრთხოებას და მასში იგეგმება ლაბორატორიული სამუშაოების ინტეგრირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:08

პროგრამა 1:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამა 2:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

1) დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.

2) საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
3) სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

ა) 1.4 კომპონენტში გაცემულ კლასტერულ რეკომენდაციას "რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სახელწოდება და ეწოდოს „ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება", რაც უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის შინაარსს" საბჭომ განსაზღვრა შემდეგი სახით: "რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან." აღნიშნულ ცვილებას არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილება.

საბჭომ კენჭისყრის შედეგად დააკმაყოფილა ინსტიტუციის შუამდგომლობა საბჭოს ჩატარების თარიღის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად ცნობის შესახებ.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მზია წიკლაური.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (60 დღიანი მონიტორინგის ანგარიში, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

პროგრამა
პროგრამის დასახელება: მასობრივი კომუნიკაცია;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათთავიანთი პოზიციები.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინა ცომაიამ დამსწრეებს გააცნო შეფასების ძირითადი გარემოებები და შედეგები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარიამ დარბაიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. რაც შეეხება მიღების წინაპირობების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანას, აღნიშნა, რომ წარდგენილ პროგრამაში წერია საერთო სამაგისტრო გამოცდები, სპეციალობაში გამოცდა, გამოცდების გარეშე დადგენილი წესით და ასევე B2 დონის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით. გამოცდის პროცედურები საუნივერსიტეტო რეგულაციებით არის განსაზღვრული და ეცნობათ სტუდენტებს, შესაბამისად, პროგრამაში არ არის საჭირო მათი დაკონკრეტება. ასევე, პროგრამა ანიჭებს „მასობრივი კომუნიკაციების მაგისტრის“ კვალიფიკაციას და ახალი 20/ნ ბრძანების მიხედვით მიმდინარეობს 1+1 სისტემის პროგრამის წარდგენა დადგენილ ვადებში, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი ანიჭებს „მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის“ კვალიფიკაციას, ხოლო მეორე ნაწილში - „კვლევის მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში“.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან იკითხა, დოკუმენტაციის გაცნობისას ეს მიღების წინაპირობები იყო თუ არა პროგრამაში. თინა ცომაიამ უპასუხა, რომ დიახ, ისინი იყო პროგრამაში და ექსპერტებმა ითხოვეს დაზუსტება თუ რას ნიშნავს „სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება“, ვინაიდან სამაგისტროზე საფეხურზე ჩასარიცხად არ არის საკმარისი სრული ზოგადი განათლება. დაწესებულებას ექსპერტმა ჯგუფმა სთხოვა ამ საკითხის დაზუსტება, რაც სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ აბზაცში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:40

დასრულების დრო: 15:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[2] - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტრის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მესამე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათთავიანთი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ დამსწრეებს გააცნო დასკვნაში მოყვანილი შეფასებითი გარემობები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი გაბედავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს კონსტრუქციული სამუშაოსთვის. მისი თქმით წარმოება დაიწყო 2024 წლის ივნისში. პროგრამას განსაზღვრული ქონდა სამი რეკომენდაცია და სამივე შესრულებულია. ერთადერთი სიტყვა „საზღვაოსნო“ შეცვლილია „საზღვაო“-თი.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა იკითხა, 4.3 კომპონენტში გაცემულია რჩევა თუ რეკომენდაცია, რადგან ფორმულირებულია „სასურველიათი“ და შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. ნინო გორგოშაძემ უპასუხა, რომ გაცემულია რეკომენდაცია და ამ მიმართულებით საჭიროა განვითარება დარგობრივ სპეციალისტთა სიმცირის პირობებში, თუმცა აკრედიტაციის შეფასებისას გამოჩნდა ზრდა, რომ უნივერსიტეტმა მოიზიდა ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი რომელიც ჩართულია

კვლევით-სამეცნიერო სამუშაოში. გიორგი გაბედავამ დაამატა, რომ რეაკრედიტაციის დროს მეზღვაურების ჩართულობა პროგრამაში საუკეთესო პრაქტიკად იქნა შეფასებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:38

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

1) დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2) საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
3) სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისპროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

ა) 4.3 კომპონენტში გაცემულ კლასტერულ რეკომენდაციას "სასურველია აღნიშნული პროგრამის მიმართულებით გაიზარდოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებლები, განსაკუთრებით საზღვაო მიმართულებით სამეცნირო/კვლევითი საქმიანობის განვითარება და გაზრდა" საბჭომ განსაზღვრა შემდეგი სახით:
"რეკომენდებულია, აღნიშნული პროგრამის მიმართულებით გაიზარდოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებლები,

განსაკუთრებით საზღვაო მიმართულებით სამეცნირო/კვლევითი საქმიანობის განვითარება და გაზრდა". აღნიშნულ ცვილებას არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილება.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილების შესახებ განაცხადეს თეა მჭედლურმა და ნარგული ასანიძემ. თვითაცილების საფუძველია შრომითი ხელშეკრულება აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა დამსწრეებს გააცნო განხორციელებული შეფასების ძირითადი გარემეობები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ პროგრამამ 2024 წელს მიიღო აკრედიტაცია 2-წლიანი მონიტორინგის პირობით. მონიტორინგი შეეხებოდა I, II სტანდარტებს და 4.1 კომპონენტს. ყველა გაცემული რეკომენდაცია არის შესრულებული, რაც დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. 2025 წელს განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ სამივე სტანდარტი შეფასდა შესაბამისად. განახლდა პროგრამის სტრუქტურა და არჩევითი კომპონენტების წილი გაიზარდა, აღმოიფხვრა შინაარსობრივი გადაფარვები, განახლდა სასწავლო ლიტერატურა, განახლდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მექანიზმი, განახლდა მემორანდუმები მედია პარტნიორებთან, გაძლიერდა ადამიანური რესურსი, დაკონკრეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. რაც შეეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ახალ გარემოებებს, ისინი წარმოადგენენ რჩევებს პროგრამის გრძელვადიანი განვითარებისთვის და სასურველობის ხასიათისაა. ეს მითითებულია დასკვნაში და უნივერსიტეტი მადლიერია და გეგმავს იმპლემენტირებას, მით უფრო, როცა პროგრამა უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში გადაეწყო 180 კრედიტიან, 3-წლიან მოდელზე.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ვლადიმერ ადეიშვილმა ჰკითხა ექსპერტს, რატომ არის სტანდარტის 1.5, 2.2, 2.4 კომპონენტები შეფასებული სრულად შესაბამისად, როცა მათში გაცემულია რეკომენდაციები. ნინო შოშიტაშვილმა უპასუხა, რომ რეკომენდაციები შესრულებულია, თუმცა დარჩენილია ფორმალური, ტექნიკური საკითხები, რომლებიც გამოსასწორებელია (მაგალითად, სილაბუსების შემთხვევაში, დუბლირებებია, არ არის მითითებული „რიდერები“, რომლებიც გამოთხოვილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას). ვლადიმერ ადეიშვილმა უპასუხა, რომ ამას უფრო რჩევის ხასიათი აქვს და მაშინ კომპონენტები სწორად შეფასებული გამოდის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 15:56

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

1) დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2) საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
3)სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისპროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

ა) საბჭომ 1.4 კომპონენტი ნაცვლად "შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეაფასა, როგორც"მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასება.
ბ) 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია "მიზანშეწონილია პროგრამამ ეტაპობრივად განაახლოს და დააზუსტოს სილაბუსები, კერძოდ - სრულად ასახოს რეალურად გამოყენებული სასწავლო რესურსები, უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს სწავლის შედეგები და

ოპტიმიზირდეს მათი რაოდენობა, რათა სასწავლო დოკუმენტაცია იყოს უფრო თანმიმდევრული, გასაგები და შეფასების პროცესთან შესაბამისი." საბჭომ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით :
"სასურველია, პროგრამამ ეტაპობრივად განაახლოს და დააზუსტოს სილაბუსები, კერძოდ - სრულად ასახოს რეალურად გამოყენებული სასწავლო რესურსები, უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს სწავლის შედეგები და ოპტიმიზირდეს მათი რაოდენობა, რათა სასწავლო დოკუმენტაცია იყოს უფრო თანმიმდევრული, გასაგები და შეფასების პროცესთან შესაბამისი." აღნიშნულ ცვილებას არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილება.
გ) 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია "მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია მედია პარტნიორებთან მემორანდუმების განახლების შესახებ შესრულებულია, მიზანშეწონილია პროგრამამ უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლების უფრო სისტემური გაძლიერება - როგორც ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების, ისე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სასწავლო პროცესში სტრუქტურირებული ინტეგრაციის გზით, რათა სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილება მეტად დაახლოვდეს რეალურ პროფესიულ გარემოსთან" საბჭომ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით:
"მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია მედია პარტნიორებთან მემორანდუმების განახლების შესახებ შესრულებულია, სასურველია, პროგრამამ უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლების უფრო სისტემური გაძლიერება - როგორც ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების, ისე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სასწავლო პროცესში სტრუქტურირებული ინტეგრაციის გზით, რათა სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილება მეტად დაახლოვდეს რეალურ პროფესიულ გარემოსთან" აღნიშნულ ცვილებას არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილება.
დ) 2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია "მიზანშეწონილია სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმებისა და გრადაციების ფორმულირება, კერძოდ — თითოეული შეფასების კომპონენტის (შუალედური და ფინალური) კავშირი შესაბამის სასწავლო შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმები და დონეების (რუბრიკების) ქულობრივი დიაპაზონები" საბჭომ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: "სასურველია, სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმებისა და გრადაციების ფორმულირება, კერძოდ — თითოეული შეფასების კომპონენტის (შუალედური და ფინალური) კავშირი შესაბამის სასწავლო შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმები და დონეების (რუბრიკების) ქულობრივი დიაპაზონები" აღნიშნულ ცვილებას არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს სხდომა დატოვა ნარგული ასანიძემ და თეა მჭედლურმა.

მეხუთე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილების შესახებ განაცხადა თამარ ზარანდიამ. თვითაცილების საფუძველია შრომითი ხელშეკრულება აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესასრულებელი იყო ერთი რეკომენდაცია და ის დაწესებულებამ შეასრულა, წარმოდგენილია მტკიცებულებები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის წარმომადგენლებს არ დაუფიქსირებიათ დამატებითი მოსაზრება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:59
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი
მომხრე – 12
წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავისი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ზურაბ აზნაურაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, ყველა რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ანალიტიკისა და ხარისხის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან გივიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:04
დასრულების დრო: 16:12

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 14 აპრილს 16:14 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე